

**შუალედური
სახელმძღვანელო**

**COVID-19 ვირუსის
გავრცელებასთან
დაკავშირებული მზაობა და
საპასუხო ქმედებები
ჰუმანიტარული
დახმარების ჭრილში**

**მათ შორის სავლე ბანაკები
და მსგავსი ტიპის
დასახლებები**

ვერსია 1.1

მარტი, 2020
IFRC, IOM, UNHCR, WHO

შუალედური სახელმძღვანელო

COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობა და საპასუხო ქმედებები ჰუმანიტარული დახმარების ჩრდილში, მათ შორის საველე ბანაკები და მსგავსი ტიპის დასახლებები.

ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ადამიანები, განსაკუთრებით კი იძულებით გადაადგილებული პირები ან/და ღვენილთა ბანაკებსა და მსგავსი ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანები, ხშირად აწყდებიან კონკრეტულ გამოწვევებსა და დაუცველობას, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია COVID-19 ვირუსის გავრცელებისთვის მზაობისა და საპასუხო ქმედებების დაგეგმვის პროცესში. ხშირად ხდება მათი უგულებელყოფა, სტიგმატიზაცია და ურთულდებათ ჯანდაცვის იმ სერვისებზე წვდომა, რომელიც ძირითადი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია. ეს შუალედური სახელმძღვანელო ეხება ჰუმანიტარული დახმარების სიტუაციაში არსებულ ადამიანებს, როგორცაა იძულებით გადაადგილებული პირები, მასპინძელი თემები, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები, კრიზისის შემდგომ უკან დაბრუნებული მოსახლეობა და მიგრანტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო შესაძლოა მოითხოვდეს გარკვეულ ადაპტაციას კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებაში, მათ შორის ბარაკების ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანებისთვის, მისი მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ თანამშრომლებს გადაუდებელ საჭიროებებზე რეაგირებაში.

დაცვის, ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ადამიანები გათვალისწინებული იყვნენ COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობისა და საპასუხო ქმედებების სტრატეგიებში, გეგმებსა და ოპერაციებში. არსებობს მყარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძველი იმისათვის, რომ მიღებული ზომები ეხებოდეს ყველას მათი სტატუსის მიუხედავად, ინკლუზიურობის დაცვით.

ამოცანები

ეს შუალედური სახელმძღვანელო ეხება კონკრეტულ საჭიროებებსა და საყურადღებო საკითხებს ჰუმანიტარული დახმარების სიტუაციებში, მათ შორის საველე ბანაკებსა და ბანაკების მსგავსი ტიპის დასახლებებში, ასევე მათ მიმდებარე მასპინძელ თემებში, COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობის ზრდისა და საპასუხო ქმედებების კუთხით, ეფექტური მულტი-სექტორული პარტნიორობების საშუალებით. სახელმძღვანელო თანხვედრაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) COVID-19 სტრატეგიული მზაობისა და საპასუხო სამოქმედო გეგმასთან¹ და ამავე ორგანიზაციის ტექნიკურ სახელმძღვანელოსთან COVID-19 ვირუსთან მიმართებაში², უფრო კონკრეტულად კი ამ ამოცანებთან მიმართებაში:

1. ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადადების შემცირება, მათ შორის მეორადი ინფექციები ახლო ფიზიკური კონტაქტის მქონე ადამიანებსა და სამედიცინო პერსონალს შორის; გადადების მაპროვოცირებელი ღონისძიებების პრევენცია; სამედიცინო დაწესებულებების გაძლიერება.
2. ადრეული იდენტიფიცირება და ოპტიმიზირებული დახმარების გაწევა ინფიცირებული პაციენტებისთვის.

¹ <https://www.who.int/publications-detail/strategic-preparedness-and-response-plan-for-the-new-coronavirus>

² <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

3. კრიტიკული რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყველა თემისთვის და დეზინფორმაციის აღკვეთა.
4. უზრუნველყოფა, რომ საპასუხო ქმედებებში დაცულობა რჩება ცენტრალურ საკითხად; მულტი-სექტორული პარტნიორობების საშუალებით დაცულობასთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოჩენა და დაცვითი საჭიროებების მონიტორინგი პოტენციური დაცვითი რისკების საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად.
5. სოციალური და ეკონომიკური დარტყმის შემცირება მულტი-სექტორული პარტნიორობების საშუალებით.

ეს შუალედური სახელმძღვანელო განკუთვნილია სავლეთ კოორდინატორების, ბანაკების მენეჯერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლებისთვის, აგრეთვე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და ჰუმანიტარული დახმარების ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის სავლეთ ბანაკებსა და მსგავსი ტიპის დასახლებებში მომუშავეთათვის, რომლებიც ჩართულნი არიან გადაწყვეტილების მიღებასა და მათ აღსრულებაში მულტი-სექტორული COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობასა და საპასუხო ქმედებებში. შესაბამისად, ეს სახელმძღვანელო რელევანტურია ჰუმანიტარული კლასტერებისა და მათი პარტნიორობებისთვის.

სიმარტივისთვის, ეს ჰუმანიტარული დახმარების სიტუაციები, მათ შორის სავლეთ ბანაკები და მსგავსი ტიპის დასახლებები, ამ დოკუმენტში მოხსენიებულ იქნება როგორც „დასახლებები“. უფრო დეტალური მითითებები ბარაკების ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებთან მიმართებაში შესაძლებელია მოძიებულ იქნეს გავრცელებული პროგრამაში (UN Habitat). მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ყველა ადამიანის ჩართულობის მნიშვნელობაზე მზაობისა და საპასუხო ქმედებებში, ის ასევე აღიარებს, რომ დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში რისკი ბევრად მაღალია.

საყურადღებო საკითხები დასახლებებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები ყველა ადამიანზე თანაბრად ვრცელდება ჰუმანიტარული დახმარების სიტუაციებში, მათი სამართლებრივი სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი და პირობები შესაძლოა შემაჩერებელ როლს თამაშობდნენ ამ უფლებებით სრულიად გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემული საკითხები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე COVID-19 მზაობისა და საპასუხო ქმედებების დაგეგმვის პროცესში:

- ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ადამიანების სამართლებრივი სტატუსი (აღიარებული ან არაღიარებული, მუდმივი ან დროებითი) შესაძლოა გახდეს მათთვის ჯანდაცვის და სხვა სერვისებზე წვდომის განმსაზღვრელი ფაქტორი. ასევე განსაზღვროს კულტურულად და ენობრივად სენსიტიური სერვისების ხელმისაწვდომობა და ამ სერვისების გამოყენების შესაძლებლობა სოციალური შეზღუდვებიდან გამომდინარე (დისკრიმინაცია, კრიმინალიზაცია, ექსპლუატაცია).
- მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარულ სიტუაციაში მყოფ ადამიანთა უმრავლესობა ინდივიდუალურ საცხოვრებელს პოულობს უმეტესად ურბანულ ცენტრებში, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ცხოვრობდეს მჭიდროდ დასახლებულ ფორმალურ ან არაფორმალურ დასახლებებში, როგორცაა მიმდები, ტრანზიტული და ევაკუაციის ცენტრები, სავლეთ ბანაკები, კოლექტიური დასახლებები, არაფორმალურად, სპონტანურად შექმნილი ან ბარაკის ტიპის დასახლებები, რომელთაც შესაძლოა

ჰქონდეთ დროებითი, გარდამავალი ან გრძელვადიანი არსებობის ფორმა. მსგავსი ტიპის დასახლებები მოითხოვენ მულტი-სექტორული COVID-19 მზაობისა და საპასუხო ღონისძიებების ადაპტაციას, ზოგად მოსახლეობასთან მათი განხორციელების გეგმისგან განსხვავებით. ბარაკის ტიპის დასახლებებში მცხოვრები პირების საჭიროებებზე მუშაობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის მისაღებად გადახედეთ გაეროს განსახლების პროგრამის სახელმძღვანელოს.

- სავლეთ ბანაკებსა და მსგავსი ტიპის დასახლებებში საკვების დისტრიბუციასთან დაკავშირებით, წინამდებარე სახელმძღვანელოსთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას მსოფლიო სასურსათო საბჭოს (WFP) განაწესი რათა მოხდეს საკვების დისტრიბუციის გეგმის მორგება COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულ კონტექსტზე.

COVID-19 ვირუსთან მიმართებაში, დასახლებებში მცხოვრები ადამიანები გარკვეულწილად უფრო მოწყვლადები არიან ჯანმრთელობის რისკების გამო, რომელიც დაკავშირებულია ადგილმონაცვლეობასთან, ხალხმრავლობასთან, არასათანადო თავშესაფრის გამო არამდგრად კლიმატურ პირობებთან, მწირ კვებით და ჯანმრთელობის სტატუსთან. ამას შესაძლოა ასევე ამწვავებდეს სერვისებისა და დახმარების გაწევის მეთოდები, რომელიც ადამიანთა დიდი ჯგუფის თავშეყრას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებების დაგეგმარებაში ცვლილებების შეტანა რეალისტური არაა, მაქსიმალურად უნდა მოხდეს მაცხოვრებელთა დისტანცირებისა და ადამიანთა დიდი ჯგუფის თავშეყრის მართვა, ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სტანდარტების დაცვა, რისკების სრულყოფილი კომუნიკაცია და ძლიერი სათემო მუშაობა. აგრეთვე, მეთვალყურეობის გამართულ სისტემას შეუძლია ადრეული შემთხვევების გამოვლენა და ამით COVID-19 გავრცელების მნიშვნელოვნად შემცირება მსგავსი ტიპის დასახლებებში. შემთხვევების ეფექტურ მართვას შეუძლია სიკვდილიანობის შემცირება ვირუსით ინფიცირებულთა შორის.

თავდაცვის ზომები

ჯანმრთელობა ადამიანის უფლებაა, რომელსაც იცავს ადამიანის უფლებათა სამართალი³, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუცია⁴, 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ⁵ და სხვა დეკლარაციები, რეზოლუციები და დებულებები. ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ეს უფლებები ნებისმიერი ადამიანისთვის მის ტერიტორიაზე, დისკრიმინაციის გარეშე.

იძულებით გადაადგილებული პირების და დასახლებებში მცხოვრები სხვა მოსახლეობის განსაკუთრებული მოწყვლადობიდან გამომდინარე, ასევე მათი ნაწილობრივი ან სრული დამოკიდებულებიდან ადგილობრივ ქსელებზე, არაფორმალურ საარსებო წყაროებზე და ჰუმანიტარულ დახმარებაზე რათა დაიკმაყოფილონ საბაზისო საჭიროებები, ნებისმიერი მოთხოვნა COVID-19 ვირუსის გავრცელების მზაობასა და საპასუხო ქმედებების კონტექსტში (მაგ.: თვით-იზოლაცია, სავაჭრო ობიექტების დახურვა, საკვების დისტრიბუციის გადავადება, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა) უნდა გატარდეს გულმოდგინე შეფასების საფუძველზე იმ გავლენის გათვალისწინებით, რომელიც მას შესაძლოა ჰქონდეს კაცების, ქალების, ბიჭებისა და გოგონების საბაზისო საჭიროებებზე. შესაბამისად, უნდა მომზადდეს გეგმა სერვისებისა და დახმარების ალტერნატიული გზით მიწოდებისთვის ამ ადამიანებისა და თემებისთვის.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რომ ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, იძულებით

³ <https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/index.html>

⁴ https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf

⁵ <https://www.unhcr.org/3b66c2aa10>

გადაადგილებული პირები და მიგრანტები, რომლებიც დასახლებებში ცხოვრობენ:

- არ არიან სტიგმის, დისკრიმინაციის ან რაიმე განსაკუთრებულად მიღებული ზომების მსხვერპლნი.
- იღებენ დროულ და სწორ ინფორმაციას, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმითა და მათთვის გასაგებ ენაზე.
- ჩართული არიან მზაობისა და საპასუხო ქმედებების დაგეგმარებაში, პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებაში; ასევე ხდება მათი ჩართულობის წახალისება, მაგალითად მუზღუდვების დროებითი მოხსნით, რათა სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა.

რიგი მთავრობების მიერ შესაძლოა მოხდეს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და ეს შეეხოს ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მიგრანტებს. საჭიროა მონიტორინგი გაეწიოს, რომ მსგავსი ზომები უკანონოდ არ ახდენს თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების შეზღუდვას და ადგილი არ აქვს მათ უკანონო გაძევებას COVID-19 ვირუსის გადადების შიშიდან გამომდინარე და რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა მართლზომიერად და არადისკრიმინაციულად ეხება ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მიგრანტებს. აგრეთვე, ეს ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, მენტალური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩათვლით.

I. კოორდინაცია და დაგეგმარება

- უნდა განხორციელდეს კონკრეტულ არეალზე ფოკუსირებული რისკების შეფასება COVID-19 ვირუსით დაინფიცირებისა და გავრცელების კუთხით, რომელიც ეფუძნება ეროვნული რისკების შეფასებას, ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას მოცემულ არეალში, სამგზავრო და სავაჭრო კავშირებს დასახლებასა და იმ მასპინძელ თემებს შორის სადაც დაფიქსირებულია ვირუსით ინფიცირების შემთხვევები, აგრეთვე დასახლების მახასიათებლები, რომელთაც შეუძლიათ ინფექციის გადადების პროცესის გაძლიერება.
- რამდენადაც შესაძლებელია, COVID-19 ვირუსის გავრცელების მზაობისა და საპასუხო ქმედებების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს არსებული ჰუმანიტარული დახმარების მექანიზმებს, რომელიც უკვე მოქმედებს ეროვნულ, ადგილობრივ და დასახელებების დონეზე.
- თითოეული დასახლებისთვის უნდა შეიქმნას კონკრეტული გეგმა COVID-19 ვირუსის გავრცელების მზაობისა და საპასუხო ქმედებებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ და ადგილობრივ სამოქმედო გეგმებთან და დაეფუძნება დასახლებაში არსებულ რისკებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ამ გეგმაში უნდა განისაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების გზები. გეგმის განსახორციელებლად უნდა შეიქმნას მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლისთვისაც გაიწერება ნათლად განსაზღვრული როლები და პასუხისმგებლობები, კომუნიკაციის არხები და ანგარიშგების პროტოკოლი. მსგავსი გუნდის უკვე არსებობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი ფოკუსის გადამისამართება ვირუსის საპასუხო ქმედებებზე და უნდა მოიცავდეს ქალების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება მზაობისა და საპასუხო მოქმედებებს, აგრეთვე მათ წარმომადგენლობას დასახლებების მართვაში და ვირუსთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში.
- უნდა მოხდეს მაღალი რისკის იმ ზონების რუქის შემუშავება, სადაც ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით მჭიდრო დასახლებაა, დისტანცირების ნაკლები შესაძლებლობაა ან მეტი მოწვევადი ჯგუფებია. რამდენადაც შესაძლებელია ზომები უნდა გატარდეს

ხალხმრავლობის შესამცირებლად: დასახლებებში, სადაც ოჯახებს საზიარო თავშესაფარი აქვთ შეძლებისდაგვარად უნდა განახლდეს, რათა მოხდეს სივრცეების ინდივიდუალური გამოყოფა, საზიაროს ნაცვლად. უნდა მოხდეს იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც ინდივიდუალურ საცხოვრებელში ცხოვრობენ, მაგრამ მინიმალური პირობების გარეშე, რათა გაუმჯობესდეს მათი საცხოვრებელი პირობები, განსაკუთრებით კი იზოლირებული საცხოვრებელი სივრცის გამოყოფა. უნდა მოხდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე ოჯახს აქვს საზიარო სველი წერტილები და სამზარეულო, უნდა მოხდეს დამატებითი სივრცეების მოწყობა ერთიდაიგივე სივრცით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობის შესამცირებლად. მოლაპარაკებები უნდა განხორციელდეს დამატებით მიწის ფართობზე, რათა ეს სივრცეები მოეწყოს.

- შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს დასახლებების გადაგეგმარებისთვის, რათა რამდენადაც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები, სოციალური დისტანცია, ხალხმრავლობის მართვა და ადამიანთა დიდი ჯგუფების შეკრების თავიდან აცილება.
- დასახლებებში სერვისებისა და დახმარების მიწოდების მეთოდები (საკვებისა და სხვა ნივთების დისტრიბუცია, დახმარების პროგრამაში რეგისტრაცია, განათლება და სხვა) უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ მოხდეს ადამიანთა დიდი ჯგუფებისა და ინტენსიური გადაადგილების თავიდან არიდება. უნდა მოხდეს ამგვარი დახმარების გაწევის ალტერნატიულ გზებზე დაფიქრება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც დასახლებაში ვირუსის შემთხვევა დაფიქსირდება ან/და თვით-იზოლაციის რეკომენდაცია გაიცემა. მზაობის პროცესში უნდა მოხდეს დამატებით სივრცეებზე მოლაპარაკება, ვირუსის შემთხვევების დაფიქსირებამდე.
- თანამშრომლები, რომლებიც დასახლებაში მუშაობენ სრულად უნდა იაზრებდნენ ვირუსის გავრცელების რისკებს ამ დასახლებაში, უნდა გაიარონ მომზადება და მუდმივად ახდენდნენ თავდაცვის ზომების მონიტორინგს, მათ შორის პირადი თავდაცვის მოწყობილობების⁶ გამოყენებას. თანამშრომლები, რომელთაც ვირუსის გადადების პოტენციური რისკი ჰქონდათ, არ უნდა გამოცხადდნენ სამსახურში 14 დღის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას არიდებული ვირუსის გადაცემა მოსახლეობისა და მასპინძელი თემებისთვის. ასევე სამსახურში არ დაიშვებიან ისინი, ვისაც COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული სიმპტომები აღენიშნებათ, ვიდრე სრულიად არ გამოჯანმრთელდებიან. შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მოხდეს მათი პასუხისმგებლობების დროებით სხვა თანამშრომლებზე გადაცემა.
- დასახლებაში COVID-19 ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში, თანამშრომლებსა და მოსახლეობას მოეთხოვებათ შესაბამისი ქვეყნის მიერ თვით-კარანტინის და მონტორინგის პროცედურებს დაემორჩილონ. აუცილებლად უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს იზოლაციაში მყოფი მოსახლეობისთვის აუცილებელი სერვისების მიწოდებას.
- უნდა შეიქმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა იმ შემთხვევისთვის თუ მნიშვნელოვანი რაოდენობის თანამშრომლებს არ შეეძლება მუშაობის გაგრძელება ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო. ამ გეგმის მიზანია, რომ შეძლებისდაგვარად შენარჩუნდეს აუცილებელი სერვისების მიწოდების უწყვეტობა, მათ შორის თვით-მენეჯმენტისა და სათემო მექანიზმების გაძლიერების გზით.
- რამდენადაც საჭიროა და შესაძლებელია, უნდა შეიქმნას გეგმა დასახლების გაფართოების შესახებ ჰიგიენის ნივთების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია COVID-19 ვირუსისგან ინფიცირების პრევენციისთვის.

⁶ <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

II. რისკების კომუნიკაცია და თემთან მუშაობა

- გამოავლინეთ და იმუშავეთ ადგილობრივ ლიდერებთან (სათემო ლიდერები, რელიგიური ლიდერები, ახალგაზრდა და ქალი ლიდერები, ჯანდაცვის მუშაკები, სათემო მოხალისეები) და ადგილობრივ ქსელებთან (ქალთა ჯგუფები, ახალგაზრდული ჯგუფები, ტრადიციული მკურნალები და სხვა). რამდენადაც შესაძლებელია კონსულტაცია გაიარეთ ბანაკების მართვის გუნდთან, კომიტეტებთან და სათემო ლიდერებთან რისკების შეფასებაზე, მაღალი რისკის ჯგუფების იდენტიფიცირებაზე, არსებულ სანდო კომუნიკაციების არხებზე (ფორმალური და არაფორმალური) და დაკვირვების წერტილების მოწყობაზე კვარტლებისა და სექციების მიხედვით, აგრეთვე სამოქმედო გუნდების შექმნაზე და სხვა.
- სათემო მობილიზაციის მიდგომები და რისკებზე ინფორმაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ეროვნული და ადგილობრივი უწყებებიდან უნდა ადაპტირდეს კონკრეტული ინფორმაციის საჭიროებებიდან, დასახლებების და მასპინძელი თემის მაცხოვრებელთა აღქმიდან გამომდინარე. ინფორმაციის გაზიარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა ჯგუფების საკომუნიკაციო ენა, განათლების დონე და წვდომა კომუნიკაციის არხებთან ან მასზე წვდომის ბარიერები.
- მიაწოდეთ ნათელი და არაორაზროვანი გზავნილები იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა რისკების შესამცირებლად ან რა მოიმოქმედონ თუ ეჭვობენ, რომ COVID-19 ვირუსით დაინფიცირდნენ. ნუ დანერგავთ შიშსა და ეჭვს მოსახლეობაში. ზოგად აუდიტორიასთან საუბრისას ნუ გამოიყენებთ სამედიცინო ტერმინოლოგიას (მაგალითად, გამოიყენეთ „ადამიანები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ COVID-19“ და არა „ინფექციის შესაძლო შემთხვევები“).
- მონიტორინგი გაუწიეთ დასახლების მაცხოვრებლებისგან წამოსულ აღქმებს, ქორებსა და უკუკავშირს და უპასუხეთ სანდო კომუნიკაციის არხებით, განსაკუთრებით კი რეაგირება მოახდინეთ ნეგატიურ ქვევებსა და სოციალურ სტიგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ჯანდაცვის ეროვნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მასშტაბურად მიუღწეოთ თემთან მუშაობას სოციალური და ქცევითი ცვლილებების კუთხით, რომელიც ეხება ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკებს ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოთ რომ ჰუმანიტარულ კრიზისში მყოფ ადამიანებს არ ეპყრობიან როგორც განტევების ვაცს.
- განსაკუთრებული ზომები უნდა ქნას მიღებული კონკრეტულ არეალთან დაკავშირებული მაღალი გადადების რისკის ზრდის მქონე ღონისძიებების მიმართ, მაგალითად როგორცაა საკვების დისტრიბუცია და ბაზრობებში მონაწილეობა - უნდა მოხდეს ყველა მსგავსი ტიპის ღონისძიების იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების გატარება. მნიშვნელოვანია თემთან მჭიდრო მუშაობა რათა მოხდეს ვირუსის გადადების რისკების შემცირება ასეთი ტიპის ღონისძიებებზე. მაგალითად, საკვების ან სხვა ნივთების დისტრიბუცია ან ბაზრობების გამართვა შესაძლებელია ფაზებად, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანთა დიდი ჯგუფების ერთდროულად მობილიზება. ვირუსის მესამეული გადაცემის დაფიქსირების შემდეგ რეკრეაციული და სხვა ჯგუფური აქტივობები შესაძლოა დროებით შეჩერდეს, რომელიც მოითხოვს თითოეული მოსახლის თანამშრომლობას.
- ცნობიერების ამაღლების აქტივობები შესაძლოა ასევე მოიცავდეს შეტყობინებას მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ქსელის (MHPS) მხრიდან პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას, სიტუაციისგან გამოწვეული სტრესისა და შფოთვის გასამკლავებლად.

- იმისათვის, რომ COVID-19 ვირუსის მსგავსი დაავადებების გავრცელების საპასუხო ქმედებები ეფექტური იყოს, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული გენდერული ნორმები, როლები, ურთიერთობები რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებისა და კაცების განსხვავებულ მოწყვლადობაზე და მათი სტატუსი საზოგადოებაში.
- დამატებითი ინფორმაცია რისკების კომუნიკაციასა და თემთან მუშაობაზე ხელმისაწვდომია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის COVID-19 ტექნიკური სახელმძღვანელოს ვებ-გვერდზე⁷.

III. მეთვალყურეობა, ინფიცირების შემთხვევების გამოძიება და დაავადების გავრცელების რეაგირების გუნდის ფორმირება

- ეპიდემიოლოგიური მეთვალყურეობა, განგამის სიგნალი, ინფიცირების შემთხვევების გამოძიება და შეტყობინება დასახლებებში უნდა განხორციელდეს ადგილობრივი განაწესისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური სახელმძღვანელოს⁸ შესაბამისად. ლტოლვილთა დასახლებებში, სადაც UNHCR-ის ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა გამოიყენება, სამედიცინო შემთხვევების დეფინიცია უნდა ინტეგრირდეს მეთვალყურეობის ეროვნულ და გლობალურ (WHO) დეფინიციებთან. სხვა შემთხვევებში, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს EWARS⁹ სისტემის გამოყენება. მეთვალყურეობის მეთოდების მიუხედავად თანამშრომლები უნდა გადამზადდნენ, სამედიცინო შემთხვევების დეფინიციები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განხორციელებას კი ეწეოდეს მონიტორინგი და ზედამხედველობა. ვიდრე საქმიანობას შეუდგებოდნენ, მეთვალყურეობის გუნდი უნდა მომზადდეს ინფიცირებულთა კონტაქტების გამოვლენის ზომებზე, რომელიც ადაპტირებულია კოლექტიურ დასახლებებზე. ინფიცირების შემთხვევის გამოვლენისას უნდა მოხდეს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო ჯანდაცვის რეგულაციების გამტარებელ პირებთან შეტყობინების გაგზავნა, ეროვნული განაწესის შესაბამისად.
- როდესაც COVID-19 ვირუსით ინფიცირების შემთხვევა დადასტურდება დასახლებაში, უნდა მოხდეს ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების იდენტიფიცირება და მონიტორინგი 14 დღის განმავლობაში, მაშინაც კი როდესაც კარანტინი და იზოლაცია შეუძლებელია. აქცენტი უნდა გაკეთდეს სხვა ადამიანებთან კონტაქტის აკრძალვაზე და სახლიდან გასვლის შეზღუდვაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ნეგატიურ (ან კულტურულ/სოციალურ) მექანიზმებს, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი სივრცის ნაკლებობასთან და რომლის გამოც ადამიანებს უწევთ არანათესაური კავშირის მქონე სხვა ადამიანებთან დაჯგუფება (მაგალითად, ბავშვებსა და ქალებს სხვადასხვა ოჯახიდან ერთად სძინავთ, მოზარდი და ზრდასრულ კაცები იზიარებენ საცხოვრებელ სივრცეს). ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ შესაძლო ბარიერებზე რასაც ქალები და გოგონები აწყდებიან მხარდაჭერის სერვისებზე წვდომაში, განსაკუთრებით კი საგულისხმოა კარანტინში ძალადობის მსხვერპლი ან მსგავსი რისკის ქვეშ მყოფი პირები.
- შეძლებისდაგვარად სასურველია წახალისდეს თემზე დაფუძნებული მეთვალყურეობა (CBS). დასახლების მაცხოვრებლები და მასპინძელი თემის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი მოკავშირეები არიან COVID-19 შემთხვევების ადრეულ გამოვლენაში. ინფიცირების შემთხვევების გამოვლენის შემდეგ თემზე დაფუძნებული მეთვალყურეობის სისტემა მნიშვნელოვნად რჩება ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების მონიტორინგისთვის, თუნდაც კარანტინის და იზოლაციის არარსებობის პირობებში. შესაძლებელია თემის მონაღისებებისა და სხვადასხვა სათემო დანაყოფების გადამზადება დასახლებასა და მის მიმდებარე თემებში ინფიცირების შემთხვევების მარტივი ამოცნობის მეთოდებსა და განგამის სიგნალის გაგზავნის პროცედურებში. შეტყობინების მიღებისთანავე აუცილებელია შემთხვევის მყისიერი გამოძიება.

⁷ <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

⁸ <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

⁹ ადრეული გაფრთხილების, განგამისა და საპასუხო ქმედებების სისტემა

- აუცილებელია საპასუხო რეაგირების გუნდის არსებობა ან სწრაფი მობილიზება დასახლებებში შეტყობინებების გამოძიებისთვის და სავარაუდო შემთხვევების რეფერირებისთვის შემდგომი დიაგნოსტიკის მიზნით, შესაძლო იზოლაციისა და შემთხვევის მართვისთვის. გუნდი უნდა იცნობდეს დასახლებისთვის სპეციფიურ საკითხებს და სრულად იცავდეს თავდაცვის პრინციპებს.
- დასახლებაზე პასუხისმგებელი საპასუხო რეაგირების გუნდი ასევე მზად უნდა იყოს დასახლების მიმდებარე მასპინძელი თემებიდან შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირებისთვის.

IV. ჯანმრთელობის ინდივიდუალური შემოწმება

- დასახლებებში ახლად შემოსული მაცხოვრებლებისთვის შესაძლებელია ჯანმრთელობის ინდივიდუალური შემოწმება კონკრეტულ სიმპტომებზე. ეს შესაძლოა მოხდეს როგორც საზღვარზე პირველადი შემოსვლისას, ასევე დასახლების მიმდებარე პუნქტში. თუ მაცხოვრებლები ჩამოვიდნენ ადგილიდან, სადაც დაფიქსირებულია COVID-19 ვირუსის მეორეული გადადება, ან ვირუსით ინფიცირების გონივრული ვარაუდია, მნიშვნელოვანია რომ ჯანმრთელობის შემოწმება მოიცავდეს COVID-19 სიმპტომებისა და გადადების რისკების იდენტიფიკაციას, მაგალითად რესპირატორული დაავადებების ვიზუალური ნიშნების დაკვირვება შესაბამის კითხვებთან ერთად, რომელიც ეხება სხეულის ტემპერატურას ან რესპირატორულ სიმპტომებს, აგრეთვე კითხვები პოტენციურ COVID-19 შემთხვევასთან კონტაქტის ისტორიის შესახებ.
- ჯანმრთელობის შემოწმება არასდროს უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სხეულის ტემპერატურის გაზომვას. ჯანმრთელობის შემოწმებამდე კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესაბამისი ზომების მიღება შემთხვევის გამოძიების, დიაგნოსტიკისა და პირველადი კლინიკური მართვის კუთხით. წინასწარ უნდა მოხდეს დროებითი იზოლაციისთვის აუცილებელი სივრცის მოწყობა რათა გამოცალკევდეს ინფიცირების ეჭვის მქონე პირები სხვა მაცხოვრებლებისგან და თემის წევრებისგან, ვიდრე შესაბამისი რეფერალური პროცესი არ დასრულდება და ნეგატიური შედეგი არ დადასტურდება.
- ჯანმრთელობის შემოწმება ასევე შესაძლებლობაა ინფორმაციის მიწოდებისთვის პრევენციის ზომებზე და მნიშვნელოვან ქვევებზე.
- ჯანმრთელობის შემოწმება ასევე შესაძლებლობაა ორსული და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ქალების გამოსავლენად, რათა მიეწოდოთ ინფორმაცია პრევენციულ ზომებსა და მნიშვნელოვან ქვევებზე ორსულობის, მშობიარობისა და ლაქტაციის პერიოდში.

V. ლაბორატორიული სისტემა

- თითოეული დასახლებისა და მიმდებარე მასპინძელი თემისთვის აუცილებელია იდენტიფიცირებულ იქნას აღჭურვილი რეფერალური ლაბორატორია. ნიმუშების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას ეროვნული პროტოკოლი.
- იმ შემთხვევაში თუ ეროვნული პროტოკოლი ნიმუშების ადგილზე აღების უფლებას იძლევა, დასახლებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სინჯების შეგროვების ხელსაწყოები, სინჯარები და ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი მასალები.

VI. ინფექციის პრევენცია და კონტროლი

- ოჯახებისთვის უნდა განისაზღვროს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ზომები. აგრეთვე, საერთო სივრცეები უნდა ადაპტირდეს დასახლების სპეციფიკიდან გამომდინარე. მოსახლეობა უნდა დაემორჩილოს აღნიშნულ ზომებს, რომელიც ინფექციის პრევენციისა და კონტროლის პროტოკოლიდან¹⁰ გამომდინარეობს.
- თუ ადგილზე მდებარეობს სამედიცინო დაწესებულება, თანხვედრაში უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებებისთვის განსაზღვრულ ინფექციის პრევენციისა და

¹⁰ <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

კონტროლის პროტოკოლთან¹¹. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს გამართული პაციენტთა განაწილების სისტემა, თანამშრომელთა ტრენინგი, მასალები და მარაგები, მათ შორის პირადი თავდაცვის აღჭურვილობა. სამედიცინო დაწესებულებებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სველი წერტილებისა და ჰიგიენის პუნქტები და მოეთხოვებათ უფრო მაღალი მინიმალური სტანდარტების დაცვა ხელსაბანის, წყალმომარაგების და სანიტარულ საკითხებში, აგრეთვე სამედიცინო ნარჩენების მართვის კუთხით.

- ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ზომების გატარება მოითხოვს ოპტიმალურ კოორდინაციას, დაგეგმარებასა და ზედამხედველობას სამედიცინო, WASH თავშესაფარს, ბანაკის კოორდინაციისა და მართვის (CCCM) კლასტერებს და მათ პარტნიორებთან.

VII. ინფექციის შემთხვევების მართვა და სასიცოცხლო სამედიცინო სერვისების უწყვეტობა

- საჭიროა მოხდეს ისეთი სამედიცინო დაწესებულებების იდენტიფიცირება, რომელთაც შეუძლიათ დადასტურებული და სავარაუდო COVID-19 შემთხვევებზე სამედიცინო მომსახურების გაწევა. აგრეთვე, საჭიროა რეფერალური, სამკურნალო და დაწესებულებიდან გაწერის კოორდინაცია.
- უნდა განისაზღვროს პროტოკოლი სავარაუდო შემთხვევების, იზოლაციის და რეფერირების მართვისთვის, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ პროტოკოლთან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკურ სახელმძღვანელოსთან¹² და ადაპტირებულ იქნეს ადგილობრივად ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისებიდან გამომდინარე. ამ პროტოკოლების განახლება მოხდება COVID-19 ვირუსთან დაკავშირებულ საერთო ცოდნიდან გამომდინარე.
- საჭიროებიდან გამომდინარე და შეძლებისდაგვარად, შესაძლოა შინმოვლის სერვისების განვითარება სავარაუდო COVID-19 შემთხვევებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ პროტოკოლებსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკურ სახელმძღვანელოსთან¹³. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მეორადი ინფექციების განვითარების რისკის შემცირებას ოჯახების დონეზე და ადეკვატური ინფორმაცია მიეწოდოს შინმოვლის სპეციალისტებს პირადი თავდაცვის აღჭურვილობის შესახებ.
- შესაბამისი ზომები უნდა იქნას გატარებული იმისათვის, რომ რუტინული სამედიცინო სერვისები ხელმისაწვდომი დარჩეს დასახლების და მიმდებარე მასპინძელი თემების მაცხოვრებლებისთვის. მნიშვნელოვანია რუტინული სერვისებით მოსარგებლეთა განცალკევება COVID-19 ვირუსით ინფიცირებულთა და სავარაუდო ინფიცირებულთაგან.
- უნდა შემუშავდეს პროტოკოლები COVID-19 ვირუსით ორსულობისას ან მშობიარობის დროს ინფიცირებულთათვის, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ პროტოკოლთან. მაგალითად, სამეანო გართულებების და რისკ-ფაქტორების არარსებობისას შესაძლოა რეკომენდაცია გაეწიოს ქალებს დარჩენენ სახლში ადრეული მშობიარობისთვის, თუ კონტაქტში მყოფ ადამიანთა ოდენობის შეზღუდვა შესაძლებელია (მშობიარე ქალების სრული თვით-იზოლაცია დაუშვებელია). უზრუნველყოფილ უნდა იქნას გადაუდებელ სამეანო დახმარებასა და პროფესიონალ მეანებზე წვდომა ყველა მშობიარე ქალისა და გოგონასთვის, მათ შორის მშობიარობის შემდგომ მეთვალყურეობაზე. თუ COVID-19 ინფიცირებულის იზოლაცია შეუძლებელია, მშობიარობის შემდგომი 24 საათიანი მეთვალყურეობა სამედიცინო დაწესებულებაში შესაძლებელია შემცირდეს დედიდან შვილზე ვირუსის გადადების პრევენციის მიზნით.
- თუ ეროვნული ხელისუფლება რეკომენდაციას უწევს თვით-იზოლაციას, ჰუმანიტარული დახმარების პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია, რომ ეს ზომები ასევე ეხება სათემო სამედიცინო მუშაკებთან მუშაობასა და მონიტორინგს, რადგანაც შესაძლებელია რომ თვით-იზოლაციაში მყოფებს არ შეუზღუდოთ ან არ ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერასა და სერვისებზე თუ სრულად იზოლირდებიან.

¹¹ <https://bit.ly/2UqkXGv>

¹² <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

¹³ <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance>

- თუ ძუძუთი კვების დროს ვინმე ავად გახდება, მნიშვნელოვანია ძუძუთი კვება გაგრძელდეს. ბავშვი, რომელსაც უკვე შეხება ჰქონდა ვირუსთან დედის ან ოჯახის წევრის მხრიდან, მეტ სარგებელს მიიღებს ძუძუთი კვების გაგრძელებით. შესაბამისად, ძუძუთი კვებაში ნებისმიერმა წყვეტამ რეალურად შესაძლოა ბავშვის ავად განდომის რისკი გაზარდოს და უფრო მეტადაც დაამძიმოს მისი მდგომარეობა.
- ზომები უნდა იქნას მიღებული ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტების პოტენციური შეხების შესაზღუდად COVID-19 ვირუსით ინფიცირებულ პაციენტებთან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტის შემცირებაში; მაგალითად არაგადამდები და ფსიქიური აშლილობების მქონე პაციენტებისთვის 3-თვიანი მკურნალობის კურსის წინასწარ განსაზღვრა, შიდსისა და ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისთვის შინმოვლის სერვისის გაწევა სათემო სამედიცინო მუშაკების მიერ, რამდენადაც შესაძლებელია. ამავე დროს ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის უნდა გაგრძელდეს უწყვეტი სამედიცინო დახმარება, განსაკუთრებით კი ისეთი სამედიცინო მოცემულობებისთვის, რომელიც COVID-19 ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში სიკვდილიანობის მაღალ რისკში შედის. ეს ასევე ყურადღებას მოითხოვს მედიკამენტების მიწოდების კუთხით, ბაზარზე შესაძლო დეფიციტის გათვალისწინებით.
- ზომები ასევე უნდა იქნას მიღებული, რომ შემცირდეს ვირუსით ინფიცირების შესაძლებლობა ქალებსა და გოგონებში, განსაკუთრებით თანამედროვე კონტრაცეპტივების მაძიებელთათვის. ეს შესაძლებელია გამოიხატოს სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტის შემცირებაში, მაგალითად 3 თვის მარაგის გადაცემით (აბები, ამპულები, პრეზერვატივები) და სათემო სამედიცინო მუშაკების სახლში ვიზიტებით, რამდენადაც შესაძლებელია. ყურადღებას მოითხოვს კონტრაცეპტივების მარაგების მართვა, ბაზარზე შესაძლო დეფიციტის გათვალისწინებით.

VIII. ლოჯისტიკა, შესყიდვები და მარაგების მართვა

- შესყიდვების გეგმის შემუშავებისას ყურადსაღებია სამიზნე მოსახლეობის სიდიდე - დასახლების მაცხოვრებლები, მიმდებარე მასპინძელი თემები და შესაძლო დეფიციტი ბაზარზე. ეს ასევე მოიცავს შესაძლო COVID-19 შემთხვევების და მათი კონტაქტების მართვას, საოჯახო და პირადი თავდაცვის აღჭურვილობას, აგრეთვე რუტინული სამედიცინო საჭიროებების მქონე პირებს, მათ შორის მედიკამენტებისა და ჰიგიენური ნივთების მარაგებს გრძელვადიანი მკურნალობისთვის.
- რეფერალური სამედიცინო დაწესებულებები უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი ჟანგბადის ნიღბებითა და ბალონებით, მარაგების შევსების სისტემით და სხვა საჭირო აღჭურვილობებითა და მასალებით, რომელიც ეფუძნება დასახლების და მიმდებარე მასპინძელი თემების მაცხოვრებელთა ოდენობის მიხედვით გამოთვლილ COVID-19 ვირუსით ინფიცირების რისკებს. მეორე დონის სამედიცინო დაწესებულებებისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ხელოვნური სუნთქვის აპარატები, მაგრამ ეს მოითხოვს მომზადებულ სამედიცინო პერსონალსა და ელექტროენერჯის უწყვეტი კვების წყაროს. მსგავს მოთხოვნებს ხშირად ვერ აკმაყოფილებს შეზღუდული რესურსების მქონე დაწესებულებები.